

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №127

2025 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება.

მუხლი 3

სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებულ „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტს“, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს სურსათის „ვარგისობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.

მუხლი 4

- დადგენილება, გარდა ამავე დადგენილების დანართის – „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის“ 1.8 პუნქტის „1.8.2.1 ა“ და „1.8.2.3“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.
- დადგენილების დანართის – „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის“ 1.8 პუნქტის „1.8.2.1 ა“ და „1.8.2.3“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2028 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

- „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.
- ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურ დონეებს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.
- ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალური დონისა და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნების



შესაბამისობის შეფასება ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში.

4. სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **დამაბინძურებელი (კონტამინანტი)** – სურსათში არსებული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც მიზანმიმართულად არ არის დამატებული, მაგრამ სურსათში არსებობს მისი წარმოების, გადამუშავების, შეფუთვა-დაფასოების, ტრანსპორტირების, შენახვის, ასევე ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და ზოოტექნიკური ღონისძიებების განხორციელების ან/და გარემოს დაბინძურების შედეგად. დამაბინძურებლებს არ განეკუთვნება მაგ.: მწერების ნაწილები, ცხოველის ბეწვი და ა. შ.;

ბ) **განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი** – დიეტური სურსათი, რომელიც სპეციალურად გადამუშავდა ან სპეციალური შედგენილობისაა და განკუთვნილია ექიმის ზედამხედველობით იმ პაციენტების დიეტურ თერაპიაში გამოყენებისათვის, რომელთაც დაქვეითებული ან შეზღუდული აქვთ ჩვეულებრივი სურსათის ან სურსათის შემადგენელი ზოგიერთი კვებითი ელემენტის, ან მათი მეტაბოლიტების მიღების, შეთვისების, გადამუშავების, ადსორბციისა და ორგანიზმიდან გამოდენის ფუნქციონალური უნარი. იგი გამოიყენება ასევე იმ პაციენტებისათვის, რომელთა დიეტური თერაპია ვერ განხორციელდება ჩვეულებრივი რაციონის შეცვლით, ასევე სხვა განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათით ან მათი კომბინაციით.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები

1. სურსათი, რომელიც დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონით“ (დანართით) განსაზღვრულზე მეტი რაოდენობით, არ უნდა იქნეს განთავსებული ბაზარზე და არ უნდა იქნეს გამოყენებული სურსათში ნედლეულის ან ინგრედიენტის სახით.

2. სურსათი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურ დონეს, არ უნდა იქნეს შერეული სურსათში, რომელშიც დამაბინძურებლების (კონტამინანტების) შემცველობა აღემატება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ მაქსიმალურ დონეს.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონე, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით სხვაგვარად არ არის მითითებული, გამოყენებულ უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებული სურსათისა და შესაბამისი სურსათის საკვებად ვარგისი ნაწილების მიმართ.

4. სისტემებში, სადაც მარცვლოვნების წარმოება და გადამუშავება ინტეგრირებულია იმგვარად, რომ ყველა შემავალი პარტიის გაწმენდა, დახარისხება და დამუშავება ხდება ერთსა და იმავე საწარმოში, მაქსიმალური დონეები ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვნებზე, წარმოების ჯაჭვში გადამუშავების პირველ ეტაპამდე.

მუხლი 4. მშრალი (გამომშრალი), განზავებული, გადამუშავებული და შედგენილი სურსათი

1. თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით არ არის განსაზღვრული მშრალ (გამომშრალ),



განზავებულ, გადამუშავებულ და შედგენილ სურსათში (სურსათში, რომელიც შედგება ერთზე მეტი ინგრედიენტისაგან) დამაბინძურებლების (კონტამინანტების) კონკრეტული მაქსიმალური დონე, ამ შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული მაქსიმალური დონეების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ასპექტები:

ა) დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კონცენტრაციის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია შრობის ან განზავების პროცესებით;

ბ) გადამუშავების პროცესით გამოწვეული დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კონცენტრაციის ცვლილება;

გ) სურსათში (შედგენილ სურსათში) ინგრედიენტების შემცველობის თანაფარდობა/ფარდობითი პროპორციები;

დ) რაოდენობრივი განსაზღვრის ანალიტიკური ზღვარი.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს და დაასაბუთოს კონკრეტული კონცენტრაცია, განზავების ან გადამუშავების ფაქტორები შრობის, განზავების ან გადამუშავების ოპერაციებისათვის ან კონკრეტული კონცენტრაცია, განზავების ან გადამუშავების ფაქტორები მშრალი (გამომშრალი), განზავებული, გადამუშავებული ან შედგენილი სურსათისათვის, ასევე ინგრედიენტების თანაფარდობა შერევის ოპერაციების განხორციელებისას.

3. თუ ბიზნესოპერატორი ვერ წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ფაქტორებს ან იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი წარდგენილი დასაბუთების საფუძველზე მას არასაკმარისად მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, ბიზნესოპერატორის მიერ წარდგენილი დასაბუთების საფუძველზე, თვითონ განსაზღვროს ეს ფაქტორები.

4. თუ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათისთვის თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით არ არის დადგენილი კონკრეტული მაქსიმალური დონე, საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია, ამ სურსათისათვის განსაზღვრულ იქნეს უფრო მკაცრი მაქსიმალური დონე.

მუხლი 5 . დეტოქსიკაციის აკრძალვა

დაუშვებელია, სურსათი, რომელიც შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს), მიზანმიმართული დეტოქსიკაციისათვის დაექვემდებაროს ქიმიურ დამუშავებას.

მუხლი 6. სურსათი, რომელიც საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას

1. თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული დამაბინძურებლების მაქსიმალური დონე დადგენილია კონკრეტულად იმ სურსათისთვის, რომელიც საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას, ასეთი სურსათი ბაზარზე შესაძლებელია, განთავსებულ იქნეს იმ პირობით, რომ:

ა) სურსათი არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისთვის ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებისთვის;

ბ) ამ სურსათში, რომელიც საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას, ამ დამაბინძურებლის მაქსიმალური დონე შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ მაქსიმალურ დონეს;

გ) ეს სურსათი ეტიკეტირებული და ნიშანდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული



მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის ყოველი ინდივიდუალური შეფუთვის ეტიკეტზე ან თანმხლები დოკუმენტის ორიგინალში გარკვევით უნდა იყოს ნაჩვენები მისი გამოყენების პირობები და უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: „პროდუქტი საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას, რათა შემცირდეს (დამაბინძურებ(ებ)ის დასახელებით) დაბინძურება“.

3. სურსათის ტვირთის/პარტიის საიდენტიფიკაციო კოდი, თითოეულ ინდივიდუალურ შეფუთვაზე და თანმხლები დოკუმენტის ორიგინალში, წარმოდგენილ უნდა იქნეს ისე, რომ შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა.

4. სურსათი, რომელიც დაბინძურების დონის შესამცირებლად ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას, ამ პროცესებამდე არ უნდა იქნეს შერეული საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებულ სურსათთან ან სურსათთან, რომელიც განკუთვნილია სურსათის ინგრედიენტად გამოყენებისათვის.

5. სურსათი, რომელიც დაბინძურების დონის შესამცირებლად დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას, შეიძლება, განთავსდეს ბაზარზე იმ პირობით, რომ:

ა) სურსათში, რომელიც ბაზარზე განთავსებულია საბოლოო მომხმარებლისათვის ან სურსათის ინგრედიენტად გამოსაყენებლად, დამაბინძურებლების მაქსიმალური დონე არ აღემატება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ მაჩვენებლებს;

ბ) გამოყენებულ დამუშავებას არ მოჰყოლია სხვა მავნე ნარჩენების წარმოქმნა.

მუხლი 7. მოთხოვნები მიწის თხილის (არაქისის), სხვა ზეთოვანი თესლების, მათგან მიღებული პროდუქტებისა და მარცვლოვნების ეტიკეტირებისადმი

1. მიწის თხილის (არაქისის), სხვა ზეთოვანი თესლების, მათგან მიღებული პროდუქტებისა და მარცვლოვნების თითოეულ ინდივიდუალურ შეფუთვაზე და თანმხლები დოკუმენტის ორიგინალში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

2. ტვირთის/პარტიის საიდენტიფიკაციო კოდი თითოეულ ინდივიდუალურ შეფუთვაზე და თანმხლები დოკუმენტის ორიგინალში წარმოდგენილ უნდა იქნეს ისე, რომ შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა. თანმხლებ დოკუმენტში მითითებული ტვირთის/პარტიის მიმღები ბიზნესოპერატორის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ტვირთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

3. თუ ტვირთის/პარტიის შესახებ ინფორმაციაში გარკვევით არ არის მითითებული, რომ ტვირთის/პარტიის დანიშნულება არ არის მისი ბაზარზე სურსათად განთავსება, მაშინ ბაზარზე განთავსებულ მიწის თხილზე (არაქისის), სხვა ზეთოვან თესლებზე, მათგან მიღებულ პროდუქტებსა და მარცვლოვნებზე ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული მაქსიმალური დონეები.

4. გამონაკლისის სახით, მიწის თხილისა (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლებისათვის, რომლებიც ექვემდებარება დამსხვრევას/დაქუცმაცებას, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული მაქსიმალური დონეები არ გამოიყენება მხოლოდ იმ ტვირთის/პარტიის მიმართ, რომლის:

ა) ეტიკეტზე გარკვევით არის მითითებული მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება;

ბ) თითოეული ინდივიდუალური შეფუთვა და თანმხლები დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას: „პროდუქტი განკუთვნილია დამსხვრევა/ დაქუცმაცებისათვის, რაფინირებული მცენარეული ზეთის წარმოებისათვის“;

გ) საბოლოო დანიშნულების ადგილს წარმოადგენს დამსხვრევის/ დაქუცმაცების საწარმო/საამქრო.



სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური დონე ⁽¹⁾

1. მიკროტოქსინები					
1.1	აფლატოქსინები	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)			შენიშვნა
		B_1	B_1, B_2, G_1 და G_2 - ის ჯამი	M_1	აფლატოქსინების ჯამისთვის მაქსიმალური დონეები ეხება კონცენტრაციის ქვედა ზღვარს, რომელიც გამოითვლება იმ დაშვების საფუძველზე, რომ რაოდენობრივ ზღვარს ქვემოთ ყველა მნიშვნელობა ნულის ტოლია.
1.1.1	მშრალი ხილი (ჩირი), გარდა 1.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათის ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	5,0	10,0	-	
1.1.2	მშრალი ხილი (ჩირი), გარდა 1.1.3 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა, რომელიც გამოიყენება ერთადერთ ინგრედიენტად ან გადამამუშავებული პროდუქტები მშრალი ხილისგან (ჩირისგან), რომელიც ბაზარზე განთავსებულია საბოლოო მომხმარებლისთვის ან გამოიყენება როგორც სურსათის ინგრედიენტი გარდა 1.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	2,0	4,0	-	სურსათისათვის, რომელიც შედგება მშრალი ხილისგან (ჩირისგან), როგორც ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამამუშავებული სურსათის შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% შესაბამისი მშრალი ხილისგან (ჩირისგან), დადგენილი მაქსიმალური დონე ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.3	მშრალი ლეღვი (ლეღვის ჩირი)	6,0	10,0	-	სურსათისათვის, რომელიც შედგება მშრალი ლეღვისგან (ლეღვის ჩირისგან), როგორც ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% მშრალი ლეღვისგან (ლეღვის ჩირისგან), მშრალი ლეღვისთვის (ლეღვის ჩირისთვის) დადგენილი მაქსიმალური დონე ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.4	მიწის თხილი (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლი, რომელიც საბოლოო მომხმარებლისთვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა ფიზიკურ დამუშავებას	8,0	15,0	-	გარდა მიწის თხილისა (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლებისა, რომელიც განკუთვნილია დაქუცმაცებისა და რაფინირებული მცენარეული ზეთის წარმოებისათვის. თუ ხდება მიწის თხილის (არაქისის) ან სხვა ზეთოვანი თესლების ანალიზი საკვებად უვარგის გარსთან ერთად, მაშინ აფლატოქსინის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დამაბინძურებელია საკვებად



					ვარგისი ნაწილები.
1.1.5	მიწის თხილი (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლები, რომლებიც გამოიყენება ერთადერთ ინგრედიენტად ან გადამუშავებული პროდუქტები მიწის თხილისგან (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლებიდან, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის ან გამოიყენება როგორც სურსათის ინგრედიენტი	2,0	4,0	-	გარდა ნედლი მცენარეული ზეთებისა, რომლებიც განკუთვნილია რაფინირებისათვის და გარდა რაფინირებული მცენარეული ზეთებისა. თუ ხდება მიწის თხილის (არაქისის) ან სხვა ზეთოვანი თესლების ანალიზი საკვებად უვარგის გარსთან ერთად, მაშინ აფლავატოქსინის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები. იმ სურსათის შემთხვევაში, რომელიც შედგება მიწის თხილისგან (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლებისგან, როგორც ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% მიწის თხილისგან (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლისგან, მაქსიმალური დონე, რომელიც დადგენილია მიწის თხილისა (არაქისი) და სხვა ზეთოვანი თესლისათვის, ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.6	კაკლოვანები, გარდა 1.1.8 და 1.1.10 ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა, რომლებიც საბოლოო მომხმარებლისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	5,0	10,0	-	თუ ხდება კაკლოვანების ანალიზი „ნაჭუჭით“, მაშინ აფლავატოქსინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები.
1.1.7	კაკლოვანები, გარდა 1.1.9 და 1.1.11 ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა, რომლებიც გამოიყენება როგორც ერთადერთი ინგრედიენტი ან კაკლოვანების გადამუშავების პროდუქტები, რომლებიც ბაზარზე განთავსებულია საბოლოო მომხმარებლისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის	2,0	4,0		თუ ხდება კაკლოვანების ანალიზი „ნაჭუჭით“, მაშინ აფლავატოქსინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები. იმ სურსათის შემთხვევაში, რომელიც შედგება კაკლოვანებისაგან, როგორც ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% კაკლოვანებისაგან, მაქსიმალური დონე, რომელიც დადგენილია კაკლოვანებისათვის, ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.8	ნუში, ფსტა, გარგარის კურკა, რომლებიც საბოლოო მომხმარებლისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოიყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	12,0	15,0	-	თუ ხდება ნუშის, ფსტის და გარგარის კურკის ანალიზი „ნაჭუჭით“, მაშინ, აფლავატოქსინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები.
	ნუში, ფსტა, გარგარის კურკა, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო				თუ ხდება ნუში, ფსტის და გარგარის კურკის ანალიზი „ნაჭუჭით“ მაშინ, აფლავატოქსინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები. იმ სურსათის შემთხვევაში, რომელიც შედგება ნუშის, ფსტის, გარგარის კურკის, როგორც

1.1.9	მომხმარებლისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის	8,0	10,0	-	ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% ნუშის, ფსტის, გარგარის კურკისაგან, მაქსიმალური დონე, რომელიც დადგენილია ნუშის, ფსტის, გარგარის კურკისათვის, ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.10	თხილი და ბრაზილიური კაკალი, რომლებიც საბოლოო მომხმარებლისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	8,0	15,0	-	თუ ხდება თხილის და ბრაზილიური კაკლის ანალიზი „ნაჭუჭით“, მაშინ აფლავილინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები.
1.1.11	თხილი და ბრაზილიური კაკალი, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის	5,0	10,0	-	თუ ხდება თხილის და ბრაზილიური კაკლის ანალიზი „ნაჭუჭით“, მაშინ აფლავილინის შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები. იმ სურსათის შემთხვევაში, რომელიც შედგება თხილის და ბრაზილიური კაკლის, როგორც ერთადერთი ინგრედიენტისგან, ან გადამამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში, რომელიც შედგება არანაკლებ 80% თხილის და ბრაზილიური კაკლისგან, მაქსიმალური დონე, რომელიც დადგენილია თხილისა და ბრაზილიური კაკლისათვის, ასევე ვრცელდება ამ პროდუქტებზე. სხვა შემთხვევებში, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
1.1.12	მარცვლოვანები და მარცვლოვნებისგან მიღებული პროდუქტები, გარდა 1.1.13, 1.1.18 და 1.1.19 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	2,0	4,0	-	მათ შორის გადამამუშავებული მარცვლოვანი პროდუქტები. მარცვლოვნებისგან მიღებულ პროდუქტებს მიეკუთვნება პროდუქტები, რომლებიც შეიცავს არანაკლებ 80% მარცვლოვან პროდუქტს.
1.1.13	სიმინდი და ბრინჯი, რომლებიც საბოლოო მომხმარებლისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	5,0	10,0	-	
1.1.14	მშრალი (ხმელი) სუნელ-სანელებლები: - წიწკა (Capsicum spp. - მშრალი, მთელი ან დაფუჭი ნაყოფი, მათ შორის მწარე წიწკა ჩილი, -დაფუჭი მწარე წიწკა ჩილი, კაიენის წიწკა, ბულგარული წიწკა) -პილპილი (Piper spp, ნაყოფი, მათ შორის თეთრი და შავი პილპილი) -მუსკატის კაკალი (Myristica fragrans) -ყვითელი კოჭა (Curcuma longa) -მშრალი სუნელ-სანელებლების ნარევი,	5,0	10,0	-	



	რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ზემოაღნიშნულ მშრალ სუნელ-სანელებელს				
1.1.15	კოჭა/ჯანჯაფილი (Zingiber officinale) (მშრალი, ხმელი)	5,0	10,0	-	
1.1.16	ნედლი რძე ⁽²⁾ თერმულად (თბურად) დამუშავებული რძე და რძე, რომელიც გამოიყენება რძის ნაწარმის დასამზადებლად	-	-	0,050	
1.1.17	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის ⁽³⁾ და ფორმულა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽⁴⁾	-	-	0,025	მაქსიმალური დონე ვრცელდება გამოსაყენებლად მზა პროდუქტებზე. (განთავსებულია ბაზარზე ასეთად ან მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით აღდგენის შემდეგ).
1.1.18	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი და სურსათი გადამუშავებული მარცვლოვნების ფუძეზე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽³⁾	0,10	-	-	მაქსიმალური დონე ვრცელდება ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მშრალ ნივთიერებაზე ⁽⁵⁾ .
1.1.19	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽³⁾	0,10	-	0,025	რძის, რძის ნაწარმისა და მსგავსი პროდუქტებისთვის მაქსიმალური დონე ვრცელდება გამოსაყენებლად მზა პროდუქტებზე (განთავსებულია ბაზარზე ასეთად ან მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით აღდგენის შემდეგ), ასევე სხვა პროდუქტების, გარდა რძის, რძის პროდუქტებისა და სხვა მსგავსი პროდუქტებისა - მშრალ ნივთიერებაზე ⁽⁵⁾ .

1.2	ოხრატოქსინი A	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	შენიშვნა
1.2.1	მშრალი ხილი (ჩირი)		
1.2.1.1	ყურძნის მშრალი ნაყოფი/მარცვალი (ქიშმიში, ჩამიჩი, უწიპწი ოქროსფერი ქიშმიში) და მშრალი ლეღვი (ლეღვის ჩირი)	8,0	
1.2.1.2	სხვა მშრალი ხილი (ჩირი)	2,0	
1.2.2	ფინიკის სიროფი	15	
1.2.3	ფსტა, რომელიც საბოლოო მომხმარებლისათვის ბაზარზე განთავსებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	10,0	თუ ნაყოფის ანალიზი ტარდება „ნაჭუჭით“ მაშინ, ოხრატოქსინი A შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი ნაწილები.
1.2.4	ფსტა, რომელიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის	5,0	თუ ნაყოფის ანალიზი ტარდება „ნაჭუჭით“ მაშინ, ოხრატოქსინი A შემცველობის გაანგარიშებისას მიიჩნევა, რომ დაბინძურებულია საკვებად ვარგისი



			ნაწილები.
1.2.5	მშრალი (ხმელი) ბალახოვანი მცენარეები	10,0	
1.2.6	ჯანჯაფილის/კოჭას ფესვები (მშრალი) მცენარეულ ნაყენებში გამოსაყენებლად	15	
1.2.7	ტუხტის ფესვები (მშრალი), ბაბუაწვერას ფესვები (მშრალი) და ფორთოხლის ყვავილი (მშრალი), მცენარეულ ნაყენებში ან ყავის შემცველებში გამოსაყენებლად	20	
1.2.8	მზესუმზირის თესლი, გოგრის თესლი, საზამთროს თესლი, კანაფის თესლი, სოიოს მარცვალი	5,0	
1.2.9	გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურები	5,0	მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვან კულტურებზე (შვრია, მარცვალი ქერქით (ჰუსკით)), რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისთვის ⁽⁶⁾ .
1.2.10	მარცვლოვნები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის. პროდუქტები, რომლებიც მიიღება გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურებიდან, გარდა 1.2.11, 1.2.12, 1.2.13, 1.2.23 და 1.2.24 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა.	3,0	მათ შორის გადამუშავებული მარცვლოვანი პროდუქტები. გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურებიდან მიღებულ პროდუქტებს მიეკუთვნება პროდუქტები, რომლებიც შეიცავს არანაკლებ 80% მარცვლოვან პროდუქტებს.
1.2.11	პურფუნთუშეული ნაწარმი, წასახმსებელი მარცვლოვნებისგან („სნეკი“, ხემსი) და საუზმე მარცვლოვნებისგან		
1.2.11.1	პროდუქტები, რომლებიც არ შეიცავენ ზეთოვან კულტურების თესლს, თხილს და/ან ჩირებს (მშრალ ხილს)	2,0	
1.2.11.2	პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ არანაკლებ 20% ყურმნის მშრალ მარცვლებს და/ანმშრალ ლეღვს(ლეღვის ჩირს)	4,0	
1.2.11.3	სხვა პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ზეთოვან თესლს, თხილს და/ ან ჩირებს (გამომშრალ ხილს)	3,0	
1.2.12	ალაოს უალკოჰოლო სასმელები	3,0	
1.2.13	ხორბლის გლუტენი, რომელიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისთვის	8,0	
1.2.14	ყავის მარცვლები მოხალული და დაფქული მოხალული ყავა, გარდა 1.2.15 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	3,0	
1.2.15	ხსნადი ყავა (სწრაფად ხსნადი ყავა)	5,0	
1.2.16	კაკაოს ფხვნილი	3,0	
1.2.17	მშრალი სუნელ-სანელებლები, გარდა 1.2.18 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	15	მაქსიმალური დონე ასევე ვრცელდება მშრალი სუნელ-სანელებლების ნარეგებზე.
1.2.18	წიწაკა Capsicum spp. - მშრალი, მთელი ან დაფქული ნაყოფი, მათ შორის მწარე წიწაკა ჩილი, -დაფქული მწარე წიწაკა ჩილი, კაიენის წიწაკა ან ბულგარული წიწაკა)	20	



1.2.19	ძირტკბილა (Glycyrrhiza glabra, Glycyrrhiza inflata) და სხვა სუნელ-სანელებლები		
1.2.19.1	ძირტკბილას ფესვები (მშრალი), მცენარეული ნაყენის ინგრედიენტი	20	
1.2.19.2	ძირტკბილას ექსტრაქტი, რომელიც გამოიყენება სასმელებსა და საკონდიტრო ნაწარმში	80	მაქსიმალური დონე ვრცელდება სუფთა და გაუზავებელი ექსტრაქტზე, რომლის დროსაც 1 კგ ექსტრაქტი მიიღება 3-დან 4 კგ-მდე ძირტკბილას ფესვიდან.
1.2.19.3	საკონდიტრო ნაწარმი ძირტკბილათი, რომელიც შეიცავს მშრალ ნივთიერებაზე გადანაგარიშებით $\geq 97\%$ ძირტკბილას	50	
1.2.19.4	ძირტკბილას სხვა საკონდიტრო ნაწარმი	10,0	
1.2.20	ღვინო ⁽⁷⁾ და ხილის ღვინო	2,0	მათ შორის ნახევრად ცქრიალა და ცქრიალა ღვინოები, გარდა ლიქიორული ღვინოებისა და არანაკლებ 15% სპირტმცველობის მქონე ღვინოებისა. მაქსიმალური დონე ვრცელდება 2005 წლის შემდეგ მიღებული მოსავლიდან წარმოებულ პროდუქციაზე.
1.2.21	არომატიზებული ღვინო, არომატიზებულ ღვინოზე დამზადებული სასმელები და არომატიზებული ღვინის პროდუქტები - კოქტეილები ⁽⁸⁾	2,0	მაქსიმალური დონე ვრცელდება 2005 წლის შემდეგ მიღებული მოსავლიდან წარმოებულ პროდუქციაზე. მაქსიმალური დონე, რომელიც ვრცელდება ამ სასმელების მიმართ, დამოკიდებულია მზა პროდუქტში ღვინის და/ან ყურძნის ტკბილის წილზე/შემცველობაზე.
1.2.22	ყურძნის წვენი, ყურძნის წვენი კონცენტრატისგან, კონცენტრირებული ყურძნის წვენი, ყურძნის ნექტარი, ყურძნის ტკბილი და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი, რომლებიც ბაზარზე განთავსებულია საბოლოო მომხმარებლისთვის ⁽⁹⁾	2,0	კონცენტრირებული ყურძნის წვენისათვის ან კონცენტრირებული ყურძნის ტკბილისათვის მაქსიმალური დონე ვრცელდება აღდგენილი წვენზე ან ტკბილზე. მაქსიმალური დონე ვრცელდება 2005 წლის შემდეგ მიღებული მოსავლიდან წარმოებულ პროდუქციაზე.
1.2.23	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი და სურსათი გადამამუშავებული მარცვლოვნების ფუძეზე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽³⁾	0,50	მაქსიმალური დონე ვრცელდება ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მშრალი ნივთიერებაზე ⁽⁵⁾ .
1.2.24	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი ⁽³⁾	0,50	რძის, რძის ნაწარმისა და მსგავსი პროდუქტებისთვის მაქსიმალური დონე ვრცელდება გამოსაყენებლად მზა პროდუქტებზე (განთავსებულია ბაზარზე ასეთად ან მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით აღდგენის შემდეგ), ასევე სხვა პროდუქტების, გარდა რძის, რძის პროდუქტებისა და სხვა მსგავსი პროდუქტებისა - მშრალ ნივთიერებაზე ⁽⁵⁾ .
1.3	პატულინი	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	
1.3.1	ხილის წვენები, კონცენტრატისგან დამზადებული ხილის წვენები, კონცენტრირებული ხილის წვენები და ხილის ნექტარი ⁽⁹⁾	50	კონცენტრირებული ხილის წვენისათვის მაქსიმალური დონე ვრცელდება აღდგენილი წვენებზე.
1.3.2	ალკოჰოლური/სპირტიანი სასმელები ⁽¹⁰⁾ , სიდრი და ვაშლისგან ან ვაშლის წვენისგან დუღილით მიღებული სხვა სასმელები	50	



1.3.3.	ვაშლის მყარი პროდუქტები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისთვის, გარდა 1.3.4 და 1.3.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	25	ვაშლის კომპოტის და ვაშლის პიურეს (ხილფაფა) ჩათვლით.
1.3.4.	ვაშლის წვენი და ვაშლისგან დამზადებული პროდუქტები, განკუთვნილი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის ⁽³⁾ , რომლებიც ეტიკეტირებულია ასეთად და მიეწოდება მომხმარებელს	10,0	ვაშლის კომპოტის და ვაშლის პიურეს(ხილფაფა) ჩათვლით. მაქსიმალური დონე ვრცელდება გამოსაყენებლად მზა პროდუქტებზე (განთავსებულია ბაზარზე ასეთად ან მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით აღდგენის შემდეგ).
1.3.5	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ⁽³⁾	10,0	მაქსიმალური დონე ვრცელდება გამოსაყენებლად მზა პროდუქტებზე (განთავსებულია ბაზარზე ასეთად ან მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით აღდგენის შემდეგ).
1.4	დეოქსინივალენოლი	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	
1.4.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურები, გარდა 1.4.2 და 1.4.3. ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	1 000	გარდა გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც განკუთვნილია სველი დაფქვის წესით გადამუშავებისათვის და გარდა ბრინჯისა. მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვან კულტურებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისათვის ⁽⁶⁾ .
1.4.2	გადაუმუშავებელი მაგარი ხორბალის და სიმინდის მარცვლები	1 500	გარდა გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც, ეტიკეტის ან დანიშნულების მიხედვით ცხადყოფს, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ სველი დაფქვის პროცესში გამოსაყენებლად (სახამებლის წარმოებისათვის). მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი მაგარი ხორბლის მარცვლების და გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისათვის ⁽⁶⁾ .
1.4.3	გადაუმუშავებელი შვრიის მარცვლები არასაკვები ქერქით (ჰუსკით)	1 750	მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ შვრიის მარცვლებზე ქერქით (ჰუსკით), რომელიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისათვის ⁽⁶⁾ . მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი შვრიის მარცვლებზე არასაკვები ქერქით (ჰუსკით).
1.4.4	მარცვლოვნები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის, სიმინდის მარცვლები პოპკორნისათვის და პოპკორნი	750	გარდა ბრინჯისა.
1.4.5	მარცვლოვნების დაფქვის პროდუქტები, გარდა 1.4.6 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	600	გარდა ბრინჯის დაფქული პროდუქტებისა.
1.4.6	სიმინდის დაფქვის პროდუქტები		
1.4.6.1	სიმინდის დაფქვის პროდუქტები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	750	
	სიმინდის დაფქვის სხვა პროდუქტები,		



1.4.6.2	რომლებიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	1 000	
1.4.6.3	სურსათად მოხმარებისათვის წინასწარ მომზადებული „პოლენტა“ (დადერლილი ან დაფქული სიმინდისგან)	250	
1.4.7	პურფუნთუშეული ნაწარმი, წასახემსებელი მარცვლოვნებისგან („სნეჟი“, ხემსი) და საუზმე მარცვლოვნებისგან	400	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა (პროდუქტებისა, რომელიც ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები). მათ შორის მცირე ზომის ფქვილოვანი ნაწარმი.
1.4.8	მაკარონი	600	მაკარონი ნიშნავს მშრალ მაკარონს, რომლის სინესტის მასური წილი დაახლოებით 12%-ს შეადგენს.
1.4.9	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი და სურსათი გადამამუშავებული მარცვლოვნების ფუძეზე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (3)	150	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა (პროდუქტებისა, რომელიც ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები). მაქსიმალური დონე ვრცელდება პროდუქტის მშრალ ნივთიერებაზე (5), როდესაც პროდუქტი ბაზარზეა განთავსებული.
1.4.10	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი განკუთვნილი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის (3)	150	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა (პროდუქტებისა, რომელიც ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები). მაქსიმალური დონე ვრცელდება პროდუქტის მშრალ ნივთიერებაზე (5), როდესაც პროდუქტი ბაზარზეა განთავსებული.
1.5	ზეარალენონი	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	
1.5.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურები, გარდა 1.5.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	100	გარდა გადამამუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც განკუთვნილია სველი დაფქვის წესით გადამამუშავებისათვის, გარდა ბრინჯისა. მაქსიმალური დონე ვრცელდება გადამამუშავებელი მარცვლოვანი კულტურებზე (შვრია და მარცვალის ქერქით (ჰუსკით)), რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამამუშავებისთვის (6).
1.5.2	გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლები	350	გარდა გადამამუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც, ეტიკეტის ან დანიშნულების მიხედვით ცხადყოფს, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ სველი დაფქვის პროცესში გამოსაყენებლად (სახამებლის წარმოებისათვის). მაქსიმალური დონე ვრცელდება გადამამუშავებელი სიმინდის მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამამუშავებისათვის (6).
1.5.3	მარცვლოვნები, ქატო და ღივი, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის მარცვლოვნების ფქვილი, მანანის ბურღული, გარდა 1.5.5, 1.5.6 და 1.5.8 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	75	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა (პროდუქტებისა, რომელთა ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები).
1.5.4	პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ორცხობილები, წასახემსებელი („სნეჟი“, ხემსი) მარცვლოვნებისგან და საუზმე მარცვლოვნებისგან, გარდა 1.5.5. ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	50	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა, მათ შორის მცირე ზომის ფქვილოვანი ნაწარმისა (პროდუქტებისა, რომელთა ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები).



1.5.5	სიმინდი, განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის, წასახემსებელი („სნექი“, ხემსი) სიმინდის ფუძეზე და საუზმე მარცვლოვნებისგან სიმინდის ფუძეზე	100	
1.5.6	სიმინდის დაფქვის სხვა პროდუქტები, რომლებიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის		
1.5.6.1	სიმინდის ფქვილი, რომელიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	300	დაფქვის პროდუქტების წონის მცირე ნაწილაკების სულ მცირე 90 % არის $\leq 500 \mu\text{m}$ (მიკრონის) ზომის.
1.5.6.2	სიმინდის ფქვილი, რომელიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	200	დაფქვის პროდუქტების წონის მცირე ნაწილაკების 90 %-ზე ნაკლები არის $\leq 500 \mu\text{m}$ (მიკრონის) ზომის.
1.5.7	სიმინდის ზეთი რაფინირებული	400	
1.5.8	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი და სურსათი გადამამუშავებული მარცვლოვნების ფუძეზე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽³⁾	20	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა (პროდუქტებისა, რომელთა ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამამუშავების პროდუქტები). მაქსიმალური დონე ვრცელდება პროდუქტის მშრალ ნივთიერებაზე ⁽⁵⁾ , როდესაც პროდუქტი ბაზარზეა განთავსებული.
1.6	ფუმონები	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	
		B₁ და B₂ -ის ჯამი	ფუმონიზინებისთვის მაქსიმალური დონეები ეხება კონცენტრაციის ქვედა ზღვარს, რომელიც გამოითვლება იმ დაშვების საფუძველზე, რომ რაოდენობრივ ზღვარს ქვემოთ ყველა მნიშვნელობა ნულის ტოლია.
1.6.1	გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლები	4 000	გარდა გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც, ეტიკეტის ან დანიშნულების მიხედვით ცხადყოფს, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ სველი დაფქვის პროცესში გამოსაყენებლად (სახამებლის წარმოებისათვის). მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამამუშავებისათვის ⁽⁶⁾ .
1.6.2	სიმინდი, განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის, სიმინდის დაფქვის პროდუქტები, განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის, სურსათი სიმინდის ფუძეზე, განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის გარდა 1.6.3 და 1.6.5. ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	1 000	
1.6.3	საუზმე მარცვლოვნებისგან სიმინდის ფუძეზე და წასახემსებელი („სნექი“, ხემსი) სიმინდის ფუძეზე	800	
1.6.4	სიმინდის დაფქვის პროდუქტები, რომლებიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის		



1.6.4.1	სიმინდის ფქვილი, რომელიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	2 000	დაფქვის პროდუქტების წონის მცირე ნაწილაკების სულ მცირე 90 % არის $\leq 500 \mu\text{m}$ (მიკრონის) ზომის.
1.6.4.2	სიმინდის დაფქვის სხვა პროდუქტები, რომლებიც არ არის განთავსებული ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	1 400	დაფქვის პროდუქტების წონის მცირე ნაწილაკების 90 %-ზე ნაკლები არის $\leq 500 \mu\text{m}$ (მიკრონის) ზომის.
1.6.5	ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სიმინდის შემცველი პროდუქტები და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა სურსათი, გადამუშავებული სიმინდის ფუძეზე ⁽³⁾	200	მაქსიმალური დონე ვრცელდება პროდუქტის მშრალ ნივთიერებაზე ⁽²⁾ , როდესაც პროდუქტი ბაზარზეა განთავსებული.

1.7	ციტრინი	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	შენიშვნა
1.7.1	სურსათის (სასურსათო) დანამატი, ბრინჯის ფუძეზე წარმოებული, რომელიც მიიღება ბრინჯის წითელი საფუარით (Monascus purpureus) ფერმენტაციით	100	

1.8 ჭვავის რქის სკლეროცია და ჭვავის რქის ალკალიიდები			
1.8.1	ჭვავის რქის სკლეროცია	მაქსიმალური დონე (გ/კგ)	შენიშვნა
			მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვანი კულტურებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისთვის ⁽⁶⁾ . ჭვავის რქის სკლეროციაზე ვრცელდება გაწმენდა ⁽⁶⁾ . მარცვლოვნებმა უნდა გაიარონ გასუფთავების ეტაპი გაწმენდის ეტაპამდე.
1.8.1.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურები, გარდა 1.8.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა	0,2	გარდა სიმინდისა და ბრინჯისა.
1.8.1.2	გადაუმუშავებელი ჭვავის მარცვლები	0,2	
1.8.2	ჭვავის რქის ალკალიიდები	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	შენიშვნა
		ერგოვორნინი/ერგოვორნინინი; ერგოკრისტინი/ერგოკრისტინინი; ერგოკრიპტინი/ერგოკრიპტინინი (α - და β -ფორმა); ერგომეტრინი/ერგომეტრინინი; ერგოზინი/ერგოზინინი; ერგოტამინი/ერგოტამინის ჯამის ქვედა ზღვარი	ჭვავის რქის ალკალიიდებისათვის მაქსიმალური დონეები ეხება კონცენტრაციის ქვედა ზღვარს, რომელიც გამოითვლება იმ დაშვების საფუძველზე, რომ რაოდენობრივ ზღვარს ქვემოთ ყველა მნიშვნელობა ნულის ტოლია.
		50	
	ქერის, სპელტას (Triticum spelta synonym T. Aestivum spelta) და შვრიის		



1.8.2.1	დაფქვის პროდუქტები, რომელთა ნაცრიანობა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით 900 მგ/100 გ -ზე ნაკლებია		
1.8.2.1 ა	ხორბლის დაფქვის პროდუქტები, რომელთა ნაცრიანობა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით 900 მგ/100 გ -ზე ნაკლებია	100 2028 წლის 1 ივლისიდან - 50	
1.8.2.2	ქერის, ხორბლის, სპელტას (Triticum spelta synonym T. Aestivum spelta) და შვრიის დაფქვის პროდუქტები, რომელთა ნაცრიანობა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით 900 მგ/100 გ -ის ტოლი ან მეტია. ქერის, ხორბლის, სპელტას (Triticum spelta synonym T. Aestivum spelta) და შვრიის მარცვლები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	150	
1.8.2.3	ჭვავის დაფქვის პროდუქტები, ჭვავი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	500 2028 წლის 1 ივლისიდან - 250	
1.8.2.4	ხორბლის გლუტენი	400	
1.8.2.5	სურსათი გადამუშავებულ მარცვლოვნების ფუძეზე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის ⁽³⁾	20	მაქსიმალური დასაშვები ზღვარი ვრცელდება ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მიმართ.

1.9	T-2 და HT-2 ტოქსინები	მაქსიმალური დონე (მკგ/კგ)	შენიშვნა
		T-2 და HT-2 ტოქსინების ჯამი	T-2 და HT-2 ტოქსინების ჯამისთვის მაქსიმალური დონე ეხება კონცენტრაციის ქვედა ზღვარს, რომელიც გამოითვლება იმ ვარაუდით, რომ ყველა მნიშვნელობა, რომელიც რაოდენობრივი მაჩვენებლის ქვედა ზღვარზე ნაკლებია, ნულის ტოლია.
1.9.1.	გადაუმუშავებელი მარცვლოვანი კულტურები, გარდა 1.9.1.1, 1.9.1.2, 1.9.1.3 და 1.9.1.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	50	გარდა გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც განკუთვნილია სველი დაფქვის წესით გადამუშავებისათვის და გარდა ბრინჯისა. მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვან კულტურებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისთვის ⁽⁶⁾ .
1.9.1.1	გადაუმუშავებელი ქერის ალაოს მარცვლები	200	მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ ქერის ალაოს მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისთვის ⁽⁶⁾ .
1.9.1.2	გადაუმუშავებელი ქერის მარცვლები, გარდა ქერის ალაოს მარცვლებისა	150	მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი ქერის მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისთვის ⁽⁶⁾ .
			გარდა გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებისა, რომლებიც, ეტიკეტის ან დანიშნულების მიხედვით



1.9.1.3	გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლები და მაგარი ხორბლის მარცვლები	100	ცხადყოფს, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ სველი დაფქვის პროცესში გამოსაყენებლად (სახამებლის წარმოებისათვის). მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი მაგარი ხორბლის მარცვლებსა და გადაუმუშავებელი სიმინდის მარცვლებზე, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისათვის ⁽⁶⁾ .
1.9.1.4	გადაუმუშავებელი შვრიის მარცვლები არასაკვები ქერქით (ჰუსკით)	1 250	მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელ შვრიის მარცვლებზე ქერქით (ჰუსკით), რომელიც განთავსებულია ბაზარზე პირველ ეტაპზე გადამუშავებისათვის ⁽⁶⁾ . მაქსიმალური დონე ვრცელდება გადაუმუშავებელი შვრიის მარცვლებზე არასაკვები ქერქით (ჰუსკით).
1.9.2.	მარცვლოვნები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის, გარდა 1.9.2.1 და 1.9.2.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	20	გარდა ბრინჯისა.
1.9.2.1	შვრია, რომელიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	100	
1.9.2.2	ქერი, სიმინდი და მაგარი ხორბალი, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე საბოლოო მომხმარებლისათვის	50	
1.9.3	მარცვლოვნების დაფქვის პროდუქტები, გარდა 1.9.3.1 და 1.9.3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	20	გარდა ბრინჯის დაფქული პროდუქტებისა.
1.9.3.1	შვრიის დაფქვის პროდუქტები (მათ შორის, შვრიის ქატო)	100	
1.9.3.2	მარცვლოვნების ქატო გარდა შვრიისა და სიმინდის დაფქვის პროდუქტებისა	50	
1.9.4	ფქვილოვანი ნაწარმი, გარდა 1.9.5 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტებისა, მაკარონი, წასახემსებელი მარცვლოვნებისგან („სნეკი“, ხემსი) და საუზმე მარცვლოვნებისგან, გარდა 1.9.6, 1.9.7 და 1.9.8 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტებისა	20	გარდა ბრინჯის პროდუქტებისა, (პროდუქტებისა, რომლის ერთადერთ მარცვლოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ბრინჯი ან მისი გადამუშავების პროდუქტები). მათ შორის, მცირე ზომის ფქვილოვანი ნაწარმი. მაკარონი ნიშნავს მშრალ მაკარონს, რომლის სინესტის მასური წილი დაახლოებით 12%-ს შეადგენს.
1.9.5	ფქვილოვანი ნაწარმი, რომელიც შეიცავს არანაკლებ 75 % შვრიის დაფქულ პროდუქტებს	100	მათ შორის, მცირე ზომის ფქვილოვანი ნაწარმი.
1.9.6	შვრიის ფანტელი	100	
1.9.7	საუზმე მარცვლოვნებისგან, რომელიც შედგება არანაკლებ 50% მარცვლოვნების ქატოსგან, შვრიის მარცვლის დაფქვის პროდუქტებისგან, სიმინდის მარცვლის დაფქვის პროდუქტებისგან, მთლიანი შვრიის მარცვლებისგან, ქერის მარცვლებისგან, სიმინდის მარცვლებისგან ან მაგარი ხორბლის მარცვლებისგან, ასევე შედგება 40%-ზე ნაკლები შვრიის მარცვლების დაფქვის პროდუქტებისა და მთლიანი შვრიის მარცვლებისგან	50	
	საუზმე მარცვლოვნებისგან, რომელიც შედგება არანაკლებ 50% მარცვლოვნების ქატოსგან, შვრიის მარცვლის დაფქვის პროდუქტებისგან, სიმინდის		



